ჭეშმარიტად, ადამიანს და შირქსა და ურწმუნოებას შორის გამყოფი ზღვარი არის ლოცვის მიტოვება

ჯაბირისაგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, ადამიანს და შირქსა და ურწმუნოებას შორის გამყოფი ზღვარი არის ლოცვის მიტოვება».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა სავალდებულო ლოცვის მიტოვების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ კაცსა და შირქსა და ურწმუნოებას შორის გამყოფი არის ლოცვის მიტოვება. ლოცვა ისლამის მეორე საყრდენია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისლამში. ვინც უარყოფს მის ვალდებულებას, ერთსულოვანი თანხმობით ხდება ურწმუნო. ხოლო ვინც სრულიად ტოვებს მას დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო, ის ურწმუნოდ ითვლება, და ამაზე საჰაბების ერთსულოვანი თანხმობა არსებობს. ხოლო ვინც ზოგჯერ ტოვებს და ზოგჯერ ასრულებს ლოცვას, ის ამ მკაცრი მუქარის ქვეშ მოექცევა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65093

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee